




# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 68

2011 წლის 13 ივნისი

ქალაქი ხაშური



„საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით განხორციელებული ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის №42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით განხორციელებული ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის №42 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში დაფიქსირებულ მონაცემებში გაპარულია რამდენიმე უზუსტობა კერძოდ, არასწორად არის დაფიქსირებული ქუჩების სახელწოდებები: ნაცვლად „5 დეკემბრის ქუჩისა“ მითითებული უნდა იყოს „გრ. რობაქიძის ქუჩა“, „ოქტომბრის ქუჩის ნაცვლად – „ოქტომბრის ქუჩის გაგრძელება“, „მღებრიშვილის ქუჩის ნაცვლად - „ხერხეულიძის ქუჩა“ , „ჩკალოვის ქუჩის ნაცვლად – „კიკნაძის ქუჩა“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით განხორციელებული ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის №42 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

გ) „ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში გარე განათების სისტემების მოწყობის“ ღირებულება – 73 000 ლარის ოდენობით, აღნიშნული სახსრების ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქ ხაშურში სარაჯიშვილის ქუჩის, სარაჯიშვილის ქუჩის ბინების, ვაჟა ფშაველას ქუჩის, შალიბაშვილის ქუჩის, მიჩურინის ქუჩის, ლომთათიძის ქუჩის, სოხუმის ქუჩის, ვეფხვაძეების უბნის, №64 პროფტექნიკურის საერთო საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის, გორგასალის ქუჩის ბინების, შ. არაგვისპირელის ქუჩის, გრ. რობაქიძის ქუჩის, ფურცელაძის ქუჩის, შიო მღვიმელის ქუჩის, გრ. რობაქიძის (ყოფ. 5 დეკემბრის) ქუჩის, ოქტომბრის ქუჩის გაგრძელების, ლესელიძის ქუჩის, მარკოზაშვილის ქუჩის, ივ. ჯავახიშვილის ქუჩის, ბორჯომის ჩიხის, ირ. ბარბაქაძის ქუჩის, აგარის ქუჩის, გაბაშვილის ქუჩის გაგრძელების, ხერხეულიძის (მღებრიშვილის) ქუჩის, ქაშვეთის ქუჩის, ინგოროყვას ქუჩის, ბარათაშვილის ქუჩის, ტაბიძის ქუჩის ჩიხის, ი. ჭავჭავაძის ჩიხის, წმ. ნინოს ქუჩის ბინების, შოლის ქუჩის, კიკნაძის (ყოფ. ჩკალოვის) ქუჩის, გრიშაშვილის ქუჩის, კ. გამსახურდიას ქუჩის გაგრძელების, სუმბათაშვილი იუჟინის ქუჩის, მოსკოვის ქუჩის, იმერეთის ქუჩის გაგრძელების, გაგარიძის ქუჩის ჩიხების გარე განათების სისტემების მოწყობა.
- დაბა სურამში გოგოლის ქუჩის, მ. ხაჩიძის ქუჩის, წმ. მარიამის ქუჩის, წმ. მარიამის ქუჩის ჩიხის და დაბა სურამში შესასვლელი გზის გარე განათების სისტემების მოწყობა.

2. განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) მისი ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე